COMMITTEE OF MINISTERS
COMITÉ DES MINISTRES

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2026)1 წევრი სახელმწიფოებისადმი თანასწორობისა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ

(მიიღო მინისტრთა კომიტეტმა, 2026 წლის 4 მარტს, მინისტრთა მოადგილეების 1552-ე სხდომაზე)

პრეამბულა

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების (ETS No. 1) 15.b მუხლის საფუძველზე,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია უფრო მჭიდრო ერთიანობის მიღწევა თავის წევრებს შორის; რომ ამ მიზნის შესრულება შესაძლებელია, განსაკუთრებით, ერთობლივი მოქმედებებით ადამიანის უფლებათა სფეროში; და რომ წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულებად იკისრეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით (ETS No. 5, „კონვენცია“) გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა მათ იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისთვის;

მოიხმობს რა წევრ სახელმწიფოთა კონკრეტულ ვალდებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის სფეროში, ევროპული და საერთაშორისო სამართლის, კერძოდ, კონვენციის მე-14 მუხლისა და, შესაბამის შემთხვევებში, მისი მე-12 ოქმის (ETS No. 177) 1-ლი მუხლის თანახმად, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის, ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) (ETS No. 163) E მუხლისა და სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რელევანტური გადაწყვეტილებებისა თუ დასკვნების მიხედვით, რომლებიც ასევე ვრცელდება ხელოვნური ინტელექტის (AI) სისტემათა მთელ სასიცოცხლო ციკლზეც;

აღნიშნავს რა, რომ ეს ვალდებულებები ძალაში რჩება ტექნოლოგიური განვითარებისა და ციფრული ტრანსფორმაციის უწყვეტ პროცესებშიც, რომლებსაც გადიან ევროპული საზოგადოებები, მათ შორის, AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობისას;

ხაზს უსვამს რა ადამიანის ღირსების, ინდივიდუალური ავტონომიისა და თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის საკვანძო მნიშვნელობას კანონის უზენაესობისა და დემოკრატიისთვის და, შესაბამისად, აღიარებს, რომ საჭიროა არსებითი თანასწორობის უზრუნველყოფა, ასევე, ნებისმიერი ფორმის ძალადობისა და დისკრიმინაციის პრევენცია და

აღმოფხვრა ინკლუზიურ საზოგადოებათა გაძლიერებით, მარგინალიზაციის, გარიყვისა და ნებისმიერი ფორმის შეუწყნარებლობის, მათ შორის, სექსიზმის, რასიზმის, ეიბლიზმის, ეიჯიზმისა და ლგბტი ფობიის გარეშე;

ხაზს უსვამს რა მრავალმხრივი და ინტერსექციური ფორმის დისკრიმინაციისა და უთანასწორობის აღმოფხვრის აუცილებლობას, რაც შეიძლება გამოიწვიოს ან გააძლიეროს საქმიანობებმა AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში;

ითვალისწინებს რა, რომ გენდერული თანასწორობა და ქალთა სრული, თანაბარი და ეფექტიანი მონაწილეობა საჯარო თუ კერძო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში არსებითია კანონის უზენაესობის, დემოკრატიისა და მდგრადი განვითარებისთვის, და რომ ეს მიზნები მრავალი წელია, ევროპის საბჭოს პრიორიტეტად განიხილება, რასაც ადასტურებს ამ სფეროში შემუშავებული სტანდარტებისა და სტრატეგიების განსაკუთრებული სიმრავლე;

მიესალმება რა წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევას რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და სხვა საერთაშორისო დონეებზე, რათა AI სისტემათა მზარდი გამოყენება შეუსაბამონ ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის დაცვის ვალდებულებას, მათ შორის „ხელოვნური ინტელექტისა და ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის“ (CETS No. 225) განხორციელებით;

ხაზს უსვამს რა, რომ კერძო სექტორის სუბიექტებს, რეგიონული, ეროვნული, ევროპული თუ სხვა საერთაშორისო ნორმების, სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, ეკისრებათ პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყონ თანასწორობას და პატივი სცენ ყველა დაინტერესებული მხარის ადამიანის უფლებებს (მომხმარებელთა ჩათვლით), განსაკუთრებით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით;

აცნობიერებს რა რისკებს, რომლებსაც AI სისტემები უქმნის თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას, ვინაიდან ეს სისტემები შეიძლება ეფუძნებოდეს ისეთ მონაცემებსა და მოდელებს, რომლებიც აღადგენს, ამყარებს და აძლიერებს არსებულ მიკერძოებებს, სტერეოტიპებს, სტიგმას, წინასწარგანწყობებსა და მცდარ წარმოდგენებს ინდივიდებისა თუ ჯგუფების შესახებ, რეალური თუ აღქმული პიროვნული მახასიათებლებისა ან ირიბი ნიშნების (proxies) და მათი ურთიერთგადაკვეთის საფუძველზე; ასევე, ითვალისწინებს განსაკუთრებულ გამოწვევებს, რომლებიც AI სისტემებმა შეიძლება წარმოშვას მათი სირთულის, ფართომასშტაბიანი გავლენისა ან შეზღუდული გამჭვირვალობის გამო;

აღნიშნავს რა, რომ ამგვარი რისკების მნიშვნელოვანი ასპექტია ქალების, ასევე, დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მყოფი პირებისა თუ ჯგუფების არასათანადო წარმომადგენლობა ხელოვნური ინტელექტის სექტორში, განსაკუთრებით, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე და AI სისტემათა დაპროექტებისა და შემუშავების პროცესში;

აღიარებს რა, რომ ციფრული, მათ შორის, გენდერული ციფრული უთანასწორობა და AI სისტემათა გამოყენება შესაძლოა აძლიერებდეს დისკრიმინაციასა და არასათანადო

წარმომადგენლობას, რაც ხაზს უსვამს თანმდევი ეკონომიკური და სოციალური უთანასწორობის შემცირების საჭიროებას;

შეშფოთებულია რა იმით, რომ ქალებისა და გოგონების მიმართ ტექნოლოგიებით ჩადენილი ძალადობა მუდმივად იზრდება ტექნოლოგიების, მათ შორის, ხელოვნური ინტელექტის სწრაფი განვითარებისა და ფართო გამოყენების გამო, და ამ კონტექსტში ხაზს უსვამს „ევროპის საბჭოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ კონვენციის“ (CETS No. 210) აქტუალურობას;

აღიარებს რა ბავშვებისა და ახალგაზრდების განსაკუთრებულ საჭიროებებსა და მოწყვლადობას და იმ განსაკუთრებულ გავლენას, რომელიც შეიძლება AI სისტემებმა იქონიონ ბავშვებისა და ახალგაზრდების ცხოვრების ყველა სფეროზე, ასევე, აუცილებლობას, რომ მათ მიეცეთ წვდომა შესაბამის ინფორმაციაზე და ახალგაზრდები ჩაერთონ AI სისტემებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში;

ითვალისწინებს რა, რომ AI სისტემებს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი დისკრიმინაციული ეფექტი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს გაუმჭვირვალე პროცესები და ინფორმაციული ასიმეტრია, და რომ დაზარალებულ პირებს უჭირთ მათი უფლებების დარღვევათა გამოვლენა ან დამტკიცება და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებების გამოყენება;

აღნიშნავს რა, რომ მაშინაც, როდესაც AI სისტემა შეესაბამება მოქმედ ეროვნულ, ევროპულ თუ საერთაშორისო სამართალს, სტანდარტებსა და სამართლებრივ ინსტრუმენტებს, რომლებიც კონკრეტულად ხელოვნურ ინტელექტს არეგულირებს, მისი გამოყენება შეიძლება მაინც იწვევდეს დისკრიმინაციას ან ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევებს;

ხაზს უსვამს რა, რომ დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან დისკრიმინაციის რისკქვეშ მყოფი პირებისა და ჯგუფების უფლებათა დაცვაზე, სერიოზულ გამოწვევებს აწყდებიან ამგვარი დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრისას, და რომ გადაუდებლად აუცილებელია დროული რეაგირება მათზე;

შეშფოთებულია რა იმით, რომ AI სისტემათა ზემოქმედება გარემოზე, მათ შორის, ნახშირბადის ნაკვალევი და რესურსების მოხმარება, შესაძლოა არაპროპორციულ გავლენას ახდენდეს ქალებზე, ასევე, დისკრიმინაციის რისკქვეშ მყოფ სხვადასხვა პირსა თუ ჯგუფზე, და ამწვავებდეს არსებულ უთანასწორობებს; ასევე, ითვალისწინებს რა ხელოვნური ინტელექტის მდგრადი განვითარების საჭიროებას;

აღიარებს რა AI სისტემათა მზარდ გამოყენებას ყოველდღიური სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური და პროფესიული ცხოვრების უმეტეს (თუ არა ყველა) სფეროებში და ამგვარი განვითარების მზარდ ტემპს;

შეშფოთებულია რა იმით, რომ ამ შედეგებმა შესაძლოა წარმოშვას ან გააღრმაოს სტრუქტურული, მრავალმხრივი და ინტერსექციური დისკრიმინაცია და უთანასწორობა, მათ შორის, რომელსაც აწყდებიან ქალები, გოგონები და დისკრიმინაციის რისკის ქვეშ მყოფი

პირები, ასევე, გაზარდოს ძალადობა ამ პირთა მიმართ, როგორც ონლაინსივრცეში, ისე მის მიღმა;

ხაზს უსვამს რა, რომ AI სისტემათა დღევანდელი თუ სავარაუდო სამომავლო გამოყენების მასშტაბი და გავრცელება აუცილებელს ხდის, რომ წევრმა სახელმწიფოებმა განსაზღვრონ ამ სისტემების გამოყენების მიზანშეწონილობა კონკრეტული მიზნებისთვის და, შემდგომ, ყველა საქმიანობა AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში შეუსაბამონ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ვალდებულებებს, დადებითი შედეგების გასაძლიერებლად და შესაძლო უარყოფითი შედეგების პრევენციის, შემცირებისა თუ თავიდან აცილებისთვის;

აღიარებს რა, რომ AI სისტემებს, განსაკუთრებით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმთა გამოყენებისას, აქვთ პოტენციალი, ხელი შეუწყონ თანასწორობას, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას, გააძლიერონ დისკრიმინაციის რისკქვეშ მყოფი ინდივიდები და ჯგუფები, ხელი შეუწყონ ადამიანის კეთილდღეობას, ეკონომიკურ პროგრესს, ინდივიდუალურ თუ საზოგადოებრივ კეთილდღეობას, მდგრად განვითარებას და სხვა მნიშვნელოვან მიზნებსა თუ ინტერესებს, პროგრესისა და ინოვაციის გაძლიერებით, ასევე, დისკრიმინაციული მოპყრობისა და მისი გავლენის იდენტიფიცირებითა და აღმოფხვრით;

ხაზს უსვამს რა, რომ AI სისტემათა დადებითი პოტენციალის სრულად გამოსაყენებლად, საჭიროა უფრო ძლიერი და მიზნობრივი ქმედებები, თუმცა, ამავდროულად, აცნობიერებს, რომ დისკრიმინაციის რისკები შეიძლება წარმოიშვას AI სისტემათა ამ კონტექსტში გამოყენების დროსაც;

მიესალმება რა არსებულ ინიციატივებს - განსაკუთრებით, ინდუსტრიის სფეროში - რომელთა მიზანია უსაფრთხო, დაცული, სანდო და გამჭვირვალე AI სისტემების ხელშეწყობა, ამავდროულად კი წევრ სახელმწიფოებს შეახსენებს მათ როლს კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა შესაბამისი სტანდარტებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში;

ითვალისწინებს და ეყრდნობა რა ევროპის საბჭოსა და რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეებზე არსებულ ნორმებს, სტანდარტებსა და რეკომენდაციებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის შესახებ თანამედროვე საზოგადოებებში, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განვითარებად პრეცედენტულ სამართალს;

ასკვნის რა ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, რომ აუცილებელია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობაზე დაფუძნებული ყოვლისმომცველი მიდგომა, რათა შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით აღმოიფხვრას AI სისტემებით განპირობებული დისკრიმინაციის ძირეული მიზეზები, ხელი შეეწყოს თანასწორობას, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას, და თავიდან აიცილონ დისკრიმინაციის რისკები AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობისას, როგორც ანგარიშვალდებულების, ისე დემოკრატიული და გამჭვირვალე ადამიანური ზედამხედველობის უზრუნველყოფით;

რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოთა მთავრობებს:

1. მიიღონ ყველა საჭირო ზომა ამ რეკომენდაციაში ასახული პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების დაუყოვნებლივ და სრულად შესრულებისთვის;

2. შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, მარეგულირებელი, საზედამხედველო თუ პოლიტიკის ჩარჩოებისა და სხვა ზომების მეშვეობით უზრუნველყონ, რომ საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტები, რომლებიც მონაწილეობენ AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში, ასრულებდნენ თავიანთ ვალდებულებებს, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ვალდებულებებს თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის კუთხით, მოქმედი ეროვნული, ევროპული და საერთაშორისო კანონების, ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად;

3. თარგმნონ და მაქსიმალურად ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე რეკომენდაცია - მათ შორის, მარტივი და მისაწვდომი ენით და ყველა არსებული საშუალებით - ეროვნულ საჯარო ორგანოებსა და უწყებებს, ასევე, დაინტერესებულ მხარეებს შორის, როგორიცაა პარლამენტი, დამოუკიდებელი ორგანოები, მკვლევრები, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი;

4. ხელი შეუწყონ წინამდებარე რეკომენდაციის მიზნების შესრულებას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ, ევროპულ და სხვა საერთაშორისო დონეზე, ყველა დაინტერესებულ მხარესთან დიალოგითა და თანამშრომლობით;

5. მიღების შემდეგ, რეგულარულად გადახედონ წინამდებარე რეკომენდაციის შესრულებას მისი გავლენის გასაძლიერებლად და მინისტრთა კომიტეტს მიაწოდონ ინფორმაცია წევრ სახელმწიფოთა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ გატარებულ ზომებზე, მიღწეულ პროგრესსა და დარჩენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად დაგეგმილ ღონისძიებებზე.

მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის გაცემული CM/Rec(2026)1 რეკომენდაციის დანართი

პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები თანასწორობისა და ხელოვნური ინტელექტის შესახებ

I. მიზანი

1. წინამდებარე პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების მიზანია წევრ სახელმწიფოთა დახმარება თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში, ასევე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციასა და აღმოფხვრაში, როგორც მათი საქმიანობისას, ისე საჯარო და კერძო სექტორის სუბიექტების მიერ AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლში განხორციელებულ აქტივობებში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (ETS No. 5) მე-14 მუხლისა და, შესაბამის შემთხვევებში, მისი მე-12 ოქმის (ETS No. 177) 1-ლი მუხლის თანახმად, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრეცედენტული სამართლის, ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) (ETS No. 163) E მუხლისა და, შესაბამის შემთხვევებში, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტის რელევანტური გადაწყვეტილებებისა თუ დასკვნების მიხედვით.

2. დისკრიმინაცია შეიძლება ეფუძნებოდეს სხვადასხვა რეალურ თუ აღქმულ პირად მახასიათებელსა ან სტატუსს, როგორიცაა სქესი, გენდერი, „რასა“[1], კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა შეხედულება, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, მოქალაქეობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა, სქესობრივი მახასიათებლები, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა და მიგრანტის ან ლტოლვილის სტატუსი. წევრმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სტრუქტურული და სისტემური უთანასწორობისა და მოწყვლადობის, ასევე, მრავალმხრივი და ინტერსექციური დისკრიმინაციის სპეციფიკურ გამოცდილებებს. AI სისტემათა მუდმივად განვითარებადი ბუნებიდან გამომდინარე, დისკრიმინაცია შეიძლება მოხდეს ირიბი ნიშნითაც (by proxy) - ისეთ ინფორმაციაზე დაფუძნებით, რომელიც, ერთი შეხედვით, ნეიტრალურია, თუმცა, ამავდროულად, დაკავშირებულია ან კორელაციაშია დაცულ ნიშანთან.

II. ყოვლისმომცველი მიდგომა კანონმდებლობის, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების მიმართ

3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყოვლისმომცველი ზომები თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ასევე, დისკრიმინაციის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის AI სისტემათა კონტექსტში. ეს ზომები უნდა იყოს თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ასევე, საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც უკავშირდება AI სისტემებს, ადამიანის უფლებებს, თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვას.

4. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა, ეტაპობრივი და დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებით, უნდა უზრუნველყონ, რომ:

4.1 არსებობდეს ან, შესაბამის შემთხვევებში, შემუშავდეს სათანადო კანონმდებლობა, პოლიტიკა და ადმინისტრაციული, მარეგულირებელი თუ სხვა ჩარჩოები და ისინი პრაქტიკაში გამოიყენებოდეს თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ასევე, დისკრიმინაციის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრისათვის AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში;

4.2 მონიტორინგი გაეწიოს და შეფასდეს ამგვარი კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ადმინისტრაციული, მარეგულირებელი თუ სხვა ჩარჩოების ეფექტიანობა და შესაბამისობა, AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობის მოსაცავად.

შესაბამის შემთხვევებში, ეს საქმიანობა უნდა წარიმართოს თანასწორობის ორგანოებთან, კომპეტენტურ უწყებებთან, ადამიანის უფლებათა სხვა ეროვნულ სტრუქტურებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით.

5. მიღებული ზომები ხელს უნდა უწყობდეს:

5.1 AI სისტემათა გამოყენების მიზანშეწონილობის უზრუნველყოფას, დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებული ფაქტობრივი თუ პოტენციური ზემოქმედებისა და რისკების გათვალისწინებით, ასევე, თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პოტენციალის აღიარებით;

5.2 შესაბამისი გამჭვირვალობისა და ზედამხედველობის მოთხოვნათა დანერგვას, მათ შორის, ადამიანის არსებით ზედამხედველობას, რათა გამოვლინდეს, აღიკვეთოს და აღმოიფხვრას დისკრიმინაცია, წარმოქმნილი ან გამწვავებული AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით;

5.3 ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის მკაფიო ჩარჩოების არსებობას დისკრიმინაციის პრევენციისა და აღკვეთისათვის, რომელიც წარმოიქმნება AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით;

5.4 ადამიანის ყველა უფლების, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და მონაცემთა დაცვის უფლებების ეფექტიანად და თანასწორად დაცვას; და

5.5 სამართლებრივი დაცვის ეფექტიან საშუალებათა არსებობას AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

6. ამგვარი ზომები უნდა შემუშავდეს, გატარდეს და შეფასდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით, ასევე, ინდივიდის დისკრიმინაციის რისკებისა ან სხვა უფლებებზე ზემოქმედების

გათვალისწინებით, როგორც ამას რეგულარულად აფასებენ შესაბამისი აქტორები წევრ სახელმწიფოებში, საჭიროებისას, საპარლამენტო ზედამხედველობით.

7. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა საზოგადოების ყველა წევრმა თანაბრად შეძლოს სარგებლობა AI სისტემებით. კერძოდ, კონვენციით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულებების შესაბამისად, მათ უნდა შეიმუშაონ და გაატარონ ზომები, რომელთა მიზანია:

7.1 ინდივიდთა არახელსაყრელი მდგომარეობის პრევენცია და კომპენსირება;

7.2 მათი სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, პოზიტიური ღონისძიებების მეშვეობით; და

7.3 ყველა ინდივიდისა და ჯგუფის უფლებათა უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე.

8. AI სისტემებში თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშემწყობი და დისკრიმინაციის ამკრძალავი ზომების მომზადების, მიღებისა და გატარებისას, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ დროული, რეგულარული, გენდერულად დაბალანსებული და ხელმისაწვდომი საჯარო კონსულტაციების გამართვას, რათა უზრუნველყონ ისეთ დაინტერესებულ მხარეთა ეფექტიანი და არსებითი მონაწილეობა, როგორებიც არიან სოციალური პარტნიორები, კომპეტენტური ორგანოები, მკვლევრები, თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებები, ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები, ომბუდსმენები, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ჯგუფების ეფექტიან წარმომადგენლობას, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან უთანასწორობასა და დისკრიმინაციას.

III. თანასწორობის ხელშეწყობა საჯარო და კერძო სუბიექტთა მიერ

9. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ AI სისტემათა საჯარო თუ კერძო მიმწოდებლები და დამნერგავები, რათა ამ სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით, საჭიროებისას, ხელი შეუწყონ თანასწორობას, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას.

10. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

10.1 მიიღონ ზომები AI სისტემათა საჯარო თუ კერძო მიმწოდებლებისა და დამნერგავების წასახალისებლად და მხარდასაჭერად, რათა ისინი, როგორც დამსაქმებლები, ხელს უწყობდნენ და ინარჩუნებდნენ გენდერულ თანასწორობასა და მრავალფეროვნებას თავიანთ სამუშაო ძალაში, ყველა დონეზე, მათ შორის, იმ პირთა შორის, რომლებიც მონაწილეობენ AI სისტემათა დაპროექტებაში, განვითარებასა და დანერგვაში, გენდერული ბალანსისა და არასაკმარისად წარმოდგენილი ჯგუფების წარმომადგენლობის გაუმჯობესებით გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე; და

10.2 მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა AI სისტემათა საჯარო თუ კერძო მიმწოდებლებმა და დამნერგავებმა აიცილონ და აღკვეთონ გარიყვის, დისკრიმინაციისა და ძალადობის ნებისმიერი ფორმა სამუშაო ადგილზე; ასევე, წაახალისონ ისინი პირადი და პროფესიული ცხოვრების შესათავსებლად და სტერეოტიპებსა თუ შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად.

11. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ AI სისტემათა მიმწოდებლებისა და დამნერგავების, ასევე, მკვლევრებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივები, რომლებიც შეისწავლის, თუ როგორ შეიძლება ამ სისტემათა გამოყენება თანასწორობისა და ინკლუზიის ხელშესაწყობად, ასევე, დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და ძალადობის, მათ შორის, გენდერული ძალადობის გამოსავლენად, ასარიდებლად და აღმოსაფხვრელად.

12. წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ AI სისტემათა ინკლუზიურ და ტრანსფორმაციულ გამოყენებას თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად. კერძოდ, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ შესაბამისი კანონმდებლობა, პოლიტიკა და მარეგულირებელი, ადმინისტრაციული თუ სხვა ჩარჩოები ქმნიდეს პირობებს ამ მიმართულებით ინიციატივების განსახორციელებლად და ითვალისწინებდეს სათანადო დაფინანსების ხელშეწყობას. ასეთმა ინიციატივებმა შეიძლება მოიცვას:

12.1 მანამდე დაუდგენელი ტექნიკური და სოციალური მიკერძოებების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა მონაცემთა ბაზებში, დიზაინში, პროცესებსა და გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმებში, ასევე, დისკრიმინაციული შედეგების მოდელებში;

12.2 ონლაინ სიძულვილის ენის, მათ შორის, სექსისტური, რასისტული და ლგბტიფობიური სიძულვილის ენის, უფრო ფართო გაგებით კი - სტერეოტიპების, ასევე, ქალებისა და გოგონებისა თუ სხვა ინდივიდების მიმართ ტექნოლოგიებით ჩადენილი ისეთი ძალადობის გამოვლენა, გავრცელების პრევენცია და აღმოფხვრა, რომელიც ეფუძნება მათ რეალურ თუ აღქმულ პირად მახასიათებლებსა და სტატუსს.

IV. დისკრიმინაციის პრევენცია

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოავლინონ და შეაფასონ AI სისტემებით წარმოქმნილი დისკრიმინაცია და მისი რისკები და მიიღონ ეტაპობრივი და დიფერენცირებული ზომები ამგვარი რისკების პრევენციის, შემცირებისა და აღმოფხვრისათვის.

14. პოლიტიკის შემუშავებისა და საკანონმდებლო რეფორმების ინფორმირებისათვის, წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ:

14.1 შეისწავლონ და მხარი დაუჭირონ კვლევებს AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის არსებულ და ახალ ფორმებზე, რათა სრულყოფილად გამოავლინონ და გაიაზრონ სხვადასხვა მიკერძოება და მათი გავლენა ინდივიდებზე, ჯგუფებსა და საზოგადოებაზე, შესაბამის შემთხვევებში;

14.2 გადასინჯონ და, საჭიროებისას, შეცვალონ თავიანთი პოლიტიკის განმსაზღვრელი და სამართლებრივი ჩარჩოები თანასწორობის მონაცემთა შეგროვებასთან მიმართებით, რათა ხელი შეუწყონ მიკერძოებებისა და დისკრიმინაციის რისკების გამოვლენას, პრევენციასა და შემცირებას, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებათა პატივისცემით.

გამჭვირვალობა, განმარტებითობა და ზედამხედველობა დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის სფეროში

15. წევრმა სახელმწიფოებმა AI სისტემათა მიმწოდებლებსა და დამნერგავებს უნდა დაუწესონ ვალდებულებები, ეტაპობრივი და დიფერენცირებული მიდგომის შესაბამისად, რათა მათ:

15.1 აღრიცხონ საქმიანობები AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში და შეინახონ ასეთი დოკუმენტაცია;

15.2 ეფექტიანად მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია AI სისტემებზე და განუმარტონ მათი როლი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ასევე, დიფერენცირებაზე მიღებული გადაწყვეტილების ფარგლები და შედეგები, იმ პირებს, რომლებზეც ეს გადაწყვეტილება გავლენას ახდენს;

15.3 ხელი შეუწყონ AI სისტემათა მიერ გენერირებული შინაარსის იდენტიფიცირებას; როდესაც სისტემა განკუთვნილია ფიზიკურ პირებთან პირდაპირი ინტერაქციისთვის, მისაწვდომი ენითა და ფორმატით და შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით აცნობონ, რომ ისინი ურთიერთობენ AI სისტემასთან; და

15.4 შეაგროვონ და ხელმისაწვდომი გახადონ კომპეტენტური ორგანოებისა და, საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებული პირებისთვის (მისაწვდომი ენითა და ფორმატით):

- მონაცემები AI სისტემათა ფუნქციონირებაზე;
- გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებული კრიტერიუმები; და
- ინფორმაცია გამოყენებულ სასწავლო, სავალიდაციო და ტესტირების მონაცემებსა და მათ დამუშავებაზე.

16. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი საჯარო რეესტრების ფუნქციონირებას, შენარჩუნებას ან შექმნას, რომელთა AI სისტემებსაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე. ეს რეესტრები შეიძლება შეიცავდეს ადამიანის უფლებებზე ზემოქმედების შეფასებათა მოკლე შეჯამებებს, მათ შორის, სპეციფიკურ შეფასებებს თანასწორობის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის რისკების შესახებ.

17. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულ პირებს სათანადო წვდომა ჰქონდეთ ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება მათზე გავლენის მქონე გადაწყვეტილებათა მიღებას, რათა შეძლონ საკუთარი უფლებების ეფექტიანად დაცვა. ასეთმა წვდომამ ინფორმაციაზე ეფექტიანად უნდა შეამციროს ინფორმაციული ასიმეტრია დაზარალებულ პირებსა და AI სისტემათა მიმწოდებლებსა თუ დამნერგავებს შორის.

18. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს პროცედურული გარანტიები და სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებები, მათ შორის, გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების პროცედურები სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებში; ამასთან, AI სისტემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე, ექვემდებარებოდეს ადამიანის ზედამხედველობას.

19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ შესაძლებლობა, რომ თანასწორობის ორგანოებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, ომბუდსმენებსა და კომპეტენტურ უწყებებს მიენიჭოთ ინფორმაციაზე წვდომისა და AI სისტემათა ტესტირების უფლებამოსილება, რათა ეფექტიანად შემოწმდეს, იკვეთება თუ არა დისკრიმინაცია.

თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე ზემოქმედების შეფასება, სერტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი

20. წევრმა სახელმწიფოებმა, ეტაპობრივი და დიფერენცირებული მიდგომის გათვალისწინებით, უნდა:

20.1 დანერგონ ან შეინარჩუნონ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული რისკებისა და ზეგავლენის შეფასების პრაქტიკა. ეს შეფასებები უნდა ჩაატარონ AI სისტემათა მიმწოდებლებმა და დამნერგავებმა, ჯერ სისტემის დანერგვამდე, შემდგომ კი რეგულარულად, AI სისტემის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვისთვის შექმნილ რისკებს;

20.2 აქტიურად წაახალისონ AI სისტემათა მიმწოდებლები და დამნერგავები ამ სისტემებისა და მათი გამოყენების უწყვეტად ტესტირებისთვის, რათა შემცირდეს დისკრიმინაციისა და მიკერძოების რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებებზე, ან გამოიწვიოს დისკრიმინაცია;

20.3 დაიწყონ AI სისტემათა აუდიტის სტანდარტების შემუშავება დისკრიმინაციის კუთხით და აქტიურად წაახალისონ მომწოდებლები და დამნერგავები შემოწმების პროცესში ჩასართავად;

20.4 კომპეტენტური ორგანოების მონაწილეობით განიხილონ AI სისტემებისა და მათი შედეგების სერტიფიცირების სქემათა დანერგვა თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან მიმართებით; და

20.5 უზრუნველყონ, რომ AI სისტემათა მიმწოდებლებმა ან დამნერგავებმა დოკუმენტურად აღრიცხონ ნებისმიერი ზომა, რომელიც მიიღეს მიკერძოებისა ან დისკრიმინაციის ასაცილებლად ან შესამცირებლად, რათა ეს ინფორმაცია მიაწოდონ დაზარალებულ პირებს, თანასწორობის საკითხებზე მომუშავე უწყებებს, ადამიანის უფლებათა ეროვნულ ინსტიტუტებს, ომბუდსმენებს, კომპეტენტურ ორგანოებსა და, შესაბამის შემთხვევებში, სამოქალაქო საზოგადოებას, განსაკუთრებით, სამართალწარმოების პროცესში.

ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებული წესები დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის სფეროებში

21. წევრმა სახელმწიფოებმა, ეროვნული კონტექსტის შესაბამისად, უნდა უზრუნველყონ მარტივად მისაწვდომი სასამართლო და/ან ადმინისტრაციული პროცედურების, მათ შორის, შერიგების პროცედურებისა და/ან არასასამართლო მექანიზმების ხელმისაწვდომობა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც დაზარალდნენ AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის შედეგად. წევრ სახელმწიფოებს ასევე მოუწოდებენ, რომ გადაუდებელ შემთხვევებში ხელმისაწვდომი იყოს დაჩქარებული პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებს დროებითი/შუალედური გადაწყვეტილებების მიღებას სავარაუდო დაზარალებულთათვის.

22. წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებენ, რომ საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, უფასო იურიდიული დახმარება გაუწიონ პირებს, რომელთა უფლებებიც შეიძლება დაირღვა ან დარღვევის რისკის ქვეშ დადგა AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის შედეგად.

23. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ კოლექტიური სამართლებრივი მოქმედების მექანიზმთა დანერგვა AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის მსხვერპლთათვის, მათ შორის, დაზარალებული ჯგუფების წარმომადგენელთათვის, ამგვარი დისკრიმინაციის გამოსაძიებლად და სამართლებრივი დაცვის მისაღებად, თავიანთი ეროვნული სასამართლო სისტემების შესაბამისად.

24. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეაფასონ, ვრცელდება თუ არა და რამდენად ეფექტიანია არსებული პასუხისმგებლობის წესები AI სისტემათა კონტექსტში. საჭიროებისას, მათ შეიძლება განიხილონ მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესება AI სისტემათა მიმწოდებლებისა და დამნერგავებისთვის, როდესაც დისკრიმინაცია გამოწვეულია AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით, სხვა შემთხვევებში კი უზრუნველყონ, რომ მოქმედებდეს მკაფიო და ეფექტიანი წესები.

25. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ არსებული მტკიცებულებითი წესები, ან განიხილონ ახალი წესების შემოღება, მათ შორის, რომლებიც ითვალისწინებს მტკიცების ტვირთის გადატანას, განსაკუთრებით, როდესაც არსებობს ბრალდება, რომ AI სისტემათა მიმწოდებლებს ან დამნერგავებს არ მიუღიათ მიკერძოების პრევენციისთვის აუცილებელი ზომები, ან არ შესრულებულა ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება.

26. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ხელმისაწვდომი იყოს ეფექტიანი, პროპორციული და შემაკავებელი სანქციები და ქმედითი სამართლებრივი დაცვის საშუალებები, მათ შორის, კომპენსაცია იმ მატერიალური თუ არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც გამოიწვია AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილმა დისკრიმინაციამ.

27. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დააწესონ მონიტორინგის ვალდებულებები, რათა აირიდონ AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობით წარმოქმნილი დისკრიმინაციის გამეორება და, შესაბამის შემთხვევებში, შეაფასონ მორატორიუმის, აკრძალვის, ან სხვა სათანადო ზომების საჭიროება AI სისტემათა კონკრეტული სახის გამოყენების მიმართ, დისკრიმინაციის აკრძალვის ან თანასწორობის პრინციპის დაუცველობის გამო.

28. წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ თანამშრომლობას თანასწორობის ორგანოებს, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს, ომბუდსმენს, მონაცემთა დაცვის ორგანოებსა და სხვა კომპეტენტურ უწყებებს შორის, რათა შეძლონ ინფორმაციისა და პრაქტიკის გაზიარება AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლში არსებულ მიკერძოებასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

V. დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობათა გაძლიერება

29. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო ორგანოთა საქმიანობა AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში ექვემდებარებოდეს სათანადო საპარლამენტო ზედამხედველობას და საჯარო კონტროლს, საჭიროების შემთხვევაში, რეგულარული საპარლამენტო დებატების მეშვეობით.

30. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა:

30.1 აამაღლონ საზოგადოების ცნობიერება რისკებსა და სარგებელზე, რომლებსაც AI სისტემები ქმნის თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის სფეროში;

30.2 უზრუნველყონ ასაკის შესაბამისი ციფრული წიგნიერების პროგრამათა ხელმისაწვდომობა ყველა ასაკის პირისთვის, რათა გაიზარდოს ცნობიერება თანასწორობასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე AI სისტემათა კონტექსტში; და

30.3 წაახალისონ მიზნობრივი და ხელმისაწვდომი ტრენინგებისა და შესაძლებლობათა განვითარების პროგრამების განხორციელება მიკერძოებების, სტერეოტიპებისა და

დისკრიმინაციის რისკების დასაძლევად, ასევე, ქალებისა და კაცების და დისკრიმინაციის რისკქვეშ მყოფი ინდივიდებისა თუ ჯგუფების თანაბარი მონაწილეობის ხელშესაწყობად AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებში.

31. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ხელი შეუწყონ თანაბარ წვდომას ტექნოლოგიებზე, ასევე, მათ თანასწორ გამოყენებას, და საზოგადოების ყველა წევრისთვის აღმოფხვრან წვდომის ბარიერები, შესაბამის შემთხვევებში, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციებით ან პარტნიორობით.

32. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი და არსებითი მონაწილეობა AI-ის სფეროს სტანდარტთა შემუშავებაში და, საჭიროებისას, გამართონ საჯარო კონსულტაციები.

VI. დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანოების კომპეტენციები და უფლებამოსილებები

33. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოყენება-განხორციელებაზე ზედამხედველ დამოუკიდებელ ორგანოებს, მათ შორის, თანასწორობის ორგანოებსა და, შესაბამის შემთხვევებში, ადამიანის უფლებათა სხვა ეროვნულ სტრუქტურებს („დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებს“), ჰქონდეთ აუცილებელი ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსები, საჭიროების შემთხვევაში კი - ტექნიკური მხარდაჭერა და ოპერაციული დამოუკიდებლობა, თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად და უფლებამოსილებების განსახორციელებლად AI სისტემათა კონტექსტში.

34. წევრმა სახელმწიფოებმა, ეროვნული კონტექსტის შესაბამისად, დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებს უნდა მიანიჭონ შემდეგი ფუნქციები:

34.1 თანასწორობის ხელშეწყობა და AI სისტემებით განპირობებული დისკრიმინაციის პრევენცია, მათ შორის, ისეთი AI სისტემების გამოყენების იდენტიფიცირება, რომელთა მიმართაც შეიძლება საჭირო გახდეს მორატორიუმის ან აკრძალვის დაწესება;

34.2 დისკრიმინაციის რისკქვეშ მყოფი პირებისა და ჯგუფების მხარდაჭერა, მათ შორის, საჩივრების მიღება და ინფორმაციის მიწოდება;

34.3 სასამართლო წარმოების დაწყება ერთი ან რამდენიმე დაზარალებულის სახელით ან, საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, საკუთარი სახელით, ანდა სასამართლო წარმოებაში მონაწილეობა დისკრიმინაციის ერთი ან რამდენიმე მსხვერპლის მხარდასაჭერად. სასამართლო პროცესში მონაწილეობის უფლება უნდა მოიცავდეს სასამართლოსთვის მოსაზრებათა წარდგენასაც, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისად; და

34.4 კონსულტაციების გაწევა თანასწორობის ხელშეწყობასა და დისკრიმინაციის რისკების აცილებაზე, ასევე, თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს დაცვის მექანიზმები AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში.

აღნიშნულ ინსტიტუციებს შეიძლება მიენიჭოთ გადაწყვეტილების მიღების ფუნქციაც - იმ ინდივიდუალურ და კოლექტიურ საჩივრებზე, რომლებიც შეეხება AI სისტემებით განპირობებულ დისკრიმინაციას.

35. წევრმა სახელმწიფოებმა რეგულარულად უნდა გაიარონ კონსულტაციები დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებთან, იმ კანონმდებლობის, პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების შემუშავებისას, რომლებიც უკავშირდება თანასწორობის, მათ შორის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას, ასევე, დისკრიმინაციის პრევენციასა და აღმოფხვრას AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობასთან მიმართებით.

36. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოთა უფლებამოსილებების გაფართოება მოკვლევის ჩასატარებლად, რათა ეფექტიანად შემოწმდეს, იკვეთება თუ არა დისკრიმინაცია AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში საქმიანობის შედეგად.

37. მარეგულირებელი ჩარჩოების მიღებისას, რომლებიც მოიცავს სტრუქტურებს ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიების, პროდუქტების, სერვისების ან მიდგომების ტესტირებისა და გამოცდისათვის AI სისტემათა კონტექსტში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ ან შეინარჩუნონ ინსტიტუციური და ფინანსური ჩარჩოები ამ სტრუქტურებსა და დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოებს შორის თანამშრომლობისათვის.

VII. დამატებითი დებულებები

38. წინამდებარე რეკომენდაციაში წარმოდგენილი პრინციპებისა და მითითებების შესრულებისას, წევრმა სახელმწიფოებმა, ეტაპობრივი და დიფერენცირებული მიდგომის გამოყენებით, უნდა მიიღონ ზომები, მათ შორის, თანასწორობისა და გენდერული თანასწორობის ინტეგრირებით პროცესებში, რათა აღმოფხვრან ის განსაკუთრებით მწვავე და სპეციფიკური გავლენა თანასწორობასა (გენდერული თანასწორობის ჩათვლით) და დისკრიმინაციის აკრძალვაზე, რომელიც შეიძლება AI სისტემათა გამოყენებას ჰქონდეს სხვადასხვა სექტორში. ეს ზომები შესაძლოა საჭირო გახდეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაზარალებულ პირებს მათზე გავლენა ხელს უშლით საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაში, ან კონკრეტული შედეგის, სარგებლისა თუ მომსახურების მიღებაში, განსაკუთრებით, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: განათლება, მართლმსაჯულება და სასამართლო სისტემა, სამართალდამცავი საქმიანობა, საარჩევნო პროცესები, შრომა და დასაქმება, სოციალური მომსახურება, საცხოვრებლის უზრუნველყოფა და სოციალური კეთილდღეობა, ჯანდაცვა, მიგრაცია, ასევე, საბანკო, ფინანსური, სადაზღვევო და სხვა მომსახურებები. ამასთან, AI სისტემათა შესაძლო უარყოფით გავლენას მონიტორინგი უნდა გაეწიოს სხვა სფეროებშიც (მაგ: მედიის, რეკლამის, სპორტისა და კულტურის) და, საჭიროების შემთხვევაში, გატარდეს სათანადო ზომები.

39. წევრ სახელმწიფოებს, იმის მკაფიოდ გაცნობიერებით, რომ შებოჭილნი არიან ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული ვალდებულებებით, განსაკუთრებით, რომლებიც ეხება

დისკრიმინაციის აკრძალვასა და თანასწორობას, მათ შორის, გენდერულ თანასწორობას, არ მოეთხოვებათ წინამდებარე რეკომენდაციის გამოყენება AI სისტემათა სასიცოცხლო ციკლის ფარგლებში განხორციელებულ იმ აქტივობებთან, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების დაცვას.

---

[1]. რადგან ყველა ადამიანი მიეკუთვნება ერთსა და იმავე „სახეობას“ (species) ევროპის საბჭო უარყოფს სხვადასხვა „რასის“ არსებობაზე დაფუძნებულ თეორიებს. თუმცა წინამდებარე რეკომენდაციაში ტერმინი „რასა“ გამოიყენება იმ მიზნით, რომ დაცვის მიღმა არ დარჩნენ პირები, რომლებიც ზოგადად და შეცდომით აღიქმებიან „სხვა რასისადმი მიკუთვნებულად“.